ეკატერინე შავერდაშვილი

თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი

დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ უცხო ენის შესწავლა მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის, ისე მასწავლებლის მხრიდან. ენის ათვისებისას უამრავი ელემენტია გასათვალისწინებელი, სასურველი შედეგის მიღებას კი სასწავლო პროცესში ყველა ელემენტის ჩართვა განაპირობებს.

თუ ერთი საუკუნის წინ უცხო ენის გაკვეთილის მიზანი გრამატიკული წესებისა და კლასიკური ნაწარმოებების თარგმნა და მათი დაზუთხვა იყო (გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდი[1]), დღეს უცხო ენის გაკვეთილის მიზანს შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია და შესასწავლი ქვეყნის კულტურის სწორად აღქმა/დაფასება წარმოადგენს (კომუნიკაციური დიდაქტიკა[2]). ენობრივი მასალის დასწავლას თარგმანისა და მასალის მექანიკური დაზეპირების გზით ჩაენაცვლა ენის ათვისება შინაარსზე ორიენტირებული დისკუსიებისა და კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი დავალებების გზით. უცხო ენების სწავლების ძირითად მიზანს კომუნიკაციური კომპეტენციის, ანუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს. იმისათვის, რომ მოსწავლემ შესასწავლ ენაზე კომუნიკაციის დამყარება შეძლოს, აუცილებელია, მას გამოუმუშავდეს შემდეგი *კომუნიკაციური უნარ-ჩვევები* (სამეტყველო აქტივობები):

1. მოსმენა;
2. ლაპარაკი;
3. კითხვა;
4. წერა.

ზემოთ ჩამოთვლილი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს გაგების ხელშემწყობ, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, *რეცეფციულ უნარ-ჩვევებად (მოსმენა, კითხვა)* და სამეტყველო აქტივობის ხელშემწყობ, ანუ *პროდუქტიულ უნარ-ჩვევებად (ლაპარაკი, წერა)*. თუმცა ენობრივი ქმედებისათვის ენის შემსწავლელებს მხოლოდ აღნიშნული კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება კი არ სჭირდებათ, არამედ გარკვეული რაოდენობის ლექსიკა, სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნა, აგრეთვე სწორი საწარმოთქმო და ორთოგრაფიული უნარების ფლობა.

მაშასადამე, ენის შესწავლა ნიშნავს *ენობრივი სისტემის* შემდეგი *ასპექტების* დაუფლებასაც:

- *ლექსიკა* (ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა);
- *გრამატიკა* (გრამატიკულ-სტრუქტურული სისტემა);
- *წარმოთქმა და ინტონაცია* (ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემა);
- *მართლწერა* (ორთოგრაფიული სისტემა).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის საჭიროა ამ ელემენტების *არა იზოლირებულად, არამედ ინტეგრირებულად* მიწოდება, რამდენადაც კომუნიკაციაში (რაც თანამედროვე გაკვეთილის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს!) ყველა ეს ელემენტი თანაბრად მონაწილეობს.

ანამედროვე უცხო ენის გაკვეთილის ერთ-ითი მნიშვნელოვანი პრინციპია ისიც, რომ ცხო ენის შესწავლა მხოლოდ ენობრივი ტრუქტურების სრულყოფილად დაუფლებით უნდა შემოიფარგლებოდეს. ლექსიკისა და რამატიკის შესწავლასთან ერთად ენის ივისება განსხვავებული *კულტურული ნობიერებისა და ენობრივ-კულტურული ვითმყოფადობის* დაფასებასა და პატივის-ემასაც უნდა გულისხმობდეს, რათა მოსწავ-ემ უცხო კულტურული ინფორმაციების ივისების საფუძველზე ამ სტრუქტურების საბამის სიტუაციებში გამოყენება შეძლოს.

ენის დაუფლება ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე დაბალ დონე მრავალი არასრული აპექტისგან შედგება (ლექსიკა, გრამატიკული სტრუქტურები, სამეტყველო ინტენციები, გარე- და შიდაენობრივი საშუალებები, ენობრივი უნარ-ჩვევები: ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა) და ამ მხრივ ერთ კომპლექსურ მთლიანობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რთულია, ზოგადად, ადვილად ფორმულირებადი სასწავლო მიზანი – უცხო ენის დაუფლება – თავისი შემადგენელი და ერთმანეთთან დაკავშირებული ამდენი ელემენტით სრულად მოვიცვათ: რა თქმა უნდა, ეს „იოლად ფორმულირებადი კომპლექსური სასწავლო მიზანი“ არ არის მიღწეული, როდესაც ენის შემსწავლელი მხოლოდ გრამატიკულ სტრუქტურებს და/ან ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულებს კოგნიტიურად თუ პროდუქტიულად ითვისებს, ან როცა ენის შემსწავლელი მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ სამეტყველო აქტივობაში იქნება გავარჯიშებული, ან კიდევ რამდენიმე ან თუნდაც ყველა მოცემული კომპონენტი ერთმანეთისაგან იზოლირებულად იქნება მიწოდებული. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ყველა კომპონენტი ინტერესების შესაბამის და სიტუაციურად ადეკვატურ ენობრივ ქცევაში ინტეგრირდება და ენას შემსწავლელი მხოლოდ ამ გზით შეისწავლის (ნოინერი. 1998).

ამდენად, უცხო ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის მხოლოდ ენის სისტემის, ანუ ენობრივი საშუალებების ცოდნა (ლექსიკა, გრამატიკა, წარმოთქმა, მართლწერა) და ამ ცოდნაზე დაყრდნობით აგებული, სწორად სტრუქტურირებული წინადადებების **სამეტყველო უნარ-ჩვევებში** (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) გადატანა არ არის საკმარისი. წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- უცხო **კულტურის** აღქმა;
- ამ კულტურის თავისებურებების სწორად შეფასება;
- განსხვავებული კულტურის სათანადოდ დაფასება.

ის, რაც უცხო ენის სწავლებაში ორი საუკუნის წინ აქტუალური იყო, მოძველებულია და დღევანდელ მოთხოვნებს აღარ შეესაბამება. თუ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის ეტაპზე უცხო ენის გაკვეთილის ცენტრალურ შემადგენელ ნაწილს ენის ფორმალური აგებულება, წესთა სისტემა, კლასიკური ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების დაზეპირება და ა.შ. წარმოადგენდა, დღეს კომუნიკაციაზე ორიენტირებული დიდაქტიკა (კომუნიკაციური დიდაქტიკა, ინტერკულტურული დიდაქტიკა, ნეოკომუნიკაციური დიდაქტიკა და ა.შ.), როგორც უცხო ენების სწავლების თანამედროვე მეთოდების

> ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლასთან ერთად ენის ათვისება განსხვავებული *კულტურული ცნობიერებისა და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის* დაფასებასა და პატივისცემასაც უნდა გულისხმობდეს, რათა მოსწავლემ უცხო კულტურული ინფორმაციების ათვისების საფუძველზე ამ სტრუქტურების შესაბამის სიტუაციებში გამოყენება შეძლოს.

> ქართველი მასწავლებლების დიდი ნაწილი ცდილობს, გამოიყენოს მსოფლიოში უკვე კარგად დანერგილი – კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეფექტურ შედეგებსა და მოსწავლეზეა ორიენტირებული.

ერთობლიობა, სხვა მიზნებს სახავს ენის შემსწავლელთა და მასწავლებელთა წინაშე. უცხო ენის სწავლება აღარ შემოიფარგლება ენის მხოლოდ კოგნიტიური და სტრუქტურული დაუფლებით. მის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ენის როგორც კულტურის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინების შესწავლა, რამდენადაც უცხო ენის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, უცხო კულტურასთან შეხვედრის ერთ-ერთი ფორმაა. უცხო ენის დიდაქტიკის მნიშვნელოვან ასპექტს კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ანუ *კულტურათაშორისი დიალოგი* წარმოადგენს და ენის შესწავლაც ნაბიჯ-ნაბიჯ, კულტურის შესწავლასთან ერთად უნდა ხდებოდეს. ენობრივი სტრუქტურების მიწოდებასთან ერთად ენის შემსწავლელისათვის მნიშვნელოვანია შესასწავლი ქვეყნისა და კულტურის შესახებ გარკვეული ცოდნის მიღება, რათა სწორად ფორმულირებული წინადადებების ადეკვატურად გამოყენება შეძლოს და ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყოს ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის. იმისათვის, რომ ენის შემსწავლელმა შეძლოს სხვა კულტურაში ინტეგრირება, უცხო ენის გაკვეთილის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის შესასწავლ ენაზე მოსაუბრეთა სამყაროსეული ხატის, მათი ღირებულებებისა და ცხოვრებისეულ რეალობებთან მათი დამოკიდებულების შესახებ ცოდნის გადაცემა და გაღრმავება.

> **უცხოური ენის სწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგებას. ამდენად, წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა და პატივისცემის უნარზეც. სწორედ ამ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება მიმართულება „კულტურათა დიალოგი".**
>
> *ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016*

უცხო ენის სრულყოფილად ათვისებისას მოსწავლესთან ერთად დიდი როლი ენიჭება *მასწავლებელს,* რომლის კვალიფიკაცია პირდაპირ უკავშირდება მოსწავლეების მიერ მიღწეულ შედეგებს. რაც უფრო მაღალია მასწავლებლის პროფესიული განვითარება, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. ქართველი მასწავლებლების დიდი ნაწილი ცდილობს, გამოიყენოს მსოფლიოში უკვე კარგად დანერგილი კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეფექტურ შედეგებსა და მოსწავლეზეა ორიენტირებული (ფოკუსირება მოსწავლეების საჭიროებებზე, მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე).

XX საუკუნის 70-80-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა კომუნიკაციაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც *კომუნიკაციური დიდაქტიკის* სახელითაა ცნობილი. ის განსხვავდება მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომებისგან, სადაც მასწავლებელი იყო ერთპიროვნული ლიდერი, ხოლო მოსწავლე – პასიური მიმღები.

თუ კომუნიკაციური დიდაქტიკის დამკვიდრებამდე თითქმის ყველა მეთოდში წამყვანი ადგილი გრამატიკას ეთმობოდა, კომუნიკაციური დიდაქტიკის ფარგლებში გრამატიკის ადგილი სოციოკულტურულმა ინფორმაციებმა, კომუნიკაციის ვერბალურმა და არავერბალურმა ფორმებმა დაიკავა. გრამატიკაზე ორიენტირებული ტექსტები ავთენტურმა მასალამ ჩაანაცვლა, კლასიკური ნაწარმოებების დეკლარაციული კითხვა – მედიასაშუალებების გამოყენებამ, წერის გზით ენის სწავლება კი – ენის როგორც კომუნიკაციის საშუალების ყოველდღიურ, ყოფით სიტუაციებში სწავლებამ.

კომუნიკაციური დიდაქტიკის პრინციპები ჯერ *ინტერკულტურულმა დიდაქტიკამ* გააგრძელა, რომელმაც ენის შემსწავლელები სხვადასხვა ენასა და კულტურას აზიარა, შემდეგ კი ე.წ. *ნეოკომუნიკაციურმა დიდაქტიკამ,* რომლის მიზანსაც მოსწავლეზე ორიენტირება და ენის როგორც საკომუნიკაციო საშუალების შეთავაზება წარმოადგენს შესასწავლი ქვეყნის/ქვეყნების კულტურასთან ერთად. ნეოკომუნიკაციური დიდაქტიკის პრინციპების მიხედვით, გაკვეთილი

მოსწავლეზეა ორიენტირებული და აქცენტი, უპირველეს ყოვლისა, ენობრივ ქმედებაზე, ინტერდისციპლინურ სწავლებაზე, ენის მთლიან/ჰოლისტურ სწავლებაზეა გადატანილი. ამ პრინციპების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, მასწავლებლის როლიც შეიცვალა და ის დღეს ე.წ. ლიდერის ნაცვლად ფასილიტატორისა და მრჩევლის როლში გვევლინება. გაკვეთილიც, შესაბამისად, მრავალფეროვანი სამუშაო ფორმებისა (სწავლების სოციალური ფორმების ცვლა გაკვეთილზე და ა.შ.) და მედიასაშუალებების გამოყენებით მიმდინარეობს.

დაბოლოს, თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილის მნიშვნელოვანი პრინციპების მოკლე ჩამონათვალი:

- სამეტყველო აქტივობების ერთდროული განვითარება;
- ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება ყოველდღიურ, ყოფით სიტუაციებში;
- გრამატიკა როგორც მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება და არა მიზანი;
- მშობლიური ენა როგორც მასალის გაგებისა და ათვისების ხელშემწყობი საშუალება;
- მრავალენოვნება უცხო ენის გაკვეთილზე, სადაც სხვა უცხო ენების ცოდნა შესასწავლი ენის უკეთესად გაგება/ათვისებისთვის გამოიყენება;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება (სამიზნე ჯგუფის კულტურის, მენტალიტეტის, ინტერესების გათვალისწინება);
- არა მხოლოდ ფაქტების ცოდნა, არამედ უცხო კულტურის გამოცდილების დიფერენცირებული აღქმა;
- ავთენტური ტექსტების მნიშვნელობა;
- დავალებათა ტიპები, რომლებიც მოსწავლეთა თავისუფალი აზროვნების, კრეატიულობის განვითარებას ემსახურება;
- მედიასაშუალებების როლი ენის სწავლებაში და სწავლების სხვადასხვა სოციალური ფორმის შეტანა გაკვეთილზე;
- გაკვეთილის პერსონალიზება, სადაც მოსწავლეს საშუალება ეძლევა, იმოქმედოს როგორც ინდივიდმა – უცხო ენის გაკვეთილზე ისაუბროს საკუთარ თავზე და არა სხვაზე;
- ინტერაქტიული დავალებები, სადაც ყველა მოსწავლე თანაბრად აქტიურია და რომლებიც არა ენობრივ ფორმაზე, არამედ შინაარსზეა ორიენტირებული;
- დავალებათა დიფერენცირებული შერჩევა – დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც დაბალი, ისე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის;
- ავტონომიური სწავლების ხელშეწყობა, რომლის მიხედვითაც ენის შემსწავლელი ეუფლება იმ ძირითად სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომლებიც მას დამოუკიდებლად მუშაობისას დაეხმარება და სხვა.



შენიშვნები:

1 **გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის** (XVIII-XIX სკ.) მიხედვით, უცხო ენა, უპირველეს ყოვლისა, ფორმალური სულიერების, ლოგიკური და „დალაგებული“ აზროვნების განვითარებას ემსახურებოდა. მეთოდის პედაგოგიურ საფუძვლებს წარმოადგენდა: პიროვნების ფორმირება „მაღალი“ განათლებისა და „ელიტარული“ სწავლების მიხედვით, ფსიქოლოგიურს კი – კოგნიტიური სწავლის კონცეფცია (წესების გაგება და გამოყენება) და ა.შ.

2 **კომუნიკაციური დიდაქტიკის** (XX სკ. 80-იანი წლებიდან დღემდე) პედაგოგიურ ასპექტებს წარმოადგენს: პიროვნების ჰუმანური განვითარება და ადამიანის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობათა გამოყენება; პიროვნების კომპლექსური განვითარება, განათლება და აღზრდა; მოზარდის მიერ თავისუფლების შეცნობის, იდენტურობისა და ტოლერანტიზმის ასპექტები განათლებაში. კომინიკაციური დიდაქტიკის ფსიქოლოგიური ასპექტები: ენობრივი ქმედება როგორც სულიერი, კრეატიული ქმედება და ა.შ.